ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 17

ქ. თბილისი **12.11.2018**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

5. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

6. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

7. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს კერძო სკოლა ინტელექტი

თათია ზარქუა - იურისტი

ეკატერინე მერკვილაძე - დირექტორის მოადგილე

2. შპს სკოლა ნიკე

იზოლდა ტაკიძე - დირექტორი

3. შპს მწიგნობარი

მ. ჩხაიძე - სკოლის წარმომადგენელი

4. შპს სკოლა ქართული

ინგა მაჩიტიძე - სკოლის დირექტორი

5. შპს ნოუ - ჰაუ - ახალი სკოლა

ნათია მოსიძე - სკოლის დირექტორი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნინო ბალანჩივაძე

ნინო გვარამაძე

ქეთევან ბოტკოველი

იანინა გიგიბერია

ნელი ნასყიდაშვილი

ირინა დვალი

მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს კერძო სკოლა ინტელექტის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
2. შპს სკოლა-ნიკეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა
4. შპს სკოლა ქართულში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს ნოუ-ჰაუ-ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს კერძო სკოლა ინტელექტის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და ნინო გვარამაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის განცხადებით კერძო სკოლა ინტელექტი წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც 2017 წელს ექვსი წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ექსპერტის თქმით სკოლა V- XII კლასის მოსწავლეებს ავალდებულებდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად მინიმუმ ერთ კლუბში გაწევრიანებას: ლიტერატურული სალონი, მოაზროვნეთა, ნორჩ ტექნიკოსთა, ხელოვნებისა და სამოქალაქო განთლების კლუბები. თუმცა, ინტერვიურებისას, გაირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ორ ან სამ კლუბში სიამოვნებით იყო გაწევრიანებული, რაც ხელს უწყობდა მოზარდებში სოციალური და ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებას, ამასთანავე, პასუხისმგებლობის გრძნობის, მოვლენათა შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარებისათვის.

ექსპერტის განმარტებით სკოლის შედარებით სუსტ წერტილად ექსპერტებმა მიიჩნიეს შემაჯამებელი დავალებები. ექსპერტებმა მასწავლებლებთან ერთად განიხილეს რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები: შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპის იყო, მაგრამ ტესტური დავალებების პარალელურად გამოიყენებოდა მაგ.; ქიმიაში - პროექტი,

მათემატიკაში -მოდელების შექმნა, ქართულში - ტექსტის გააზრება, ანალიზი, ესე, გეოგრაფიაში- კონტურული რუკები, ინგლისურში - პრეზენტაცია. მასწავლებლის მიერ შემუშავებული ანალიზები იყო ზოგადი, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლეოდა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით იყო გაკეთებული. საბოლოოდ, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის განცხადებით შპს კერძო სკოლა ინტელექტის საკუთრებაში არსებული იყო თბილისის მირიან მეფის ქ. N69-ში მდებარე შემდეგი უძრავი ქონება - საერთო ფართით - 1860 კვ.მ (ს/კ:01.10.08.006.185) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2451,2 კვ.მ. შენობა ახალგარემონტებული იყო. ყველა (0+3) სართულზე განსაზღვრული იყო 25 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო 430 ცალი ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი სკამით, სასკოლო დაფებით, საგანმანათლებლო რესურსებით, რაც მოიცავდა სხვადასხვა საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თვალსაჩინოებას, პლაკატებს, რუკებს, ცხრილებსა და სხვას.

ექსპერტის თქმით სკოლას არ ჰქონდა სტანდარტების შესაბამისი გამწოვი დამონტაჟებული ლაბორატორიაში და მის დამონტაჟებას გეგმავდა შემდეგი სასწავლო წლისთვის.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ქიმიური ცდების ჩასატარებლად აუცილებელი იყო სტანდარტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, რომ აუცილებლად შეეძინათ, დაემონტაჟებინათ სტანდარტის შესაბამისი გამწოვი და ცენტრისთვის წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ინტელექტის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი, კერძოდ მოსწავლეთა ადგილების 430 - ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის სესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33 - ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34 - ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კერძო სკოლა ინტელექტს (ს/კ 405011810) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 430 - ით.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ 16:40 საათზე დატოვა სხდომა.

2. შპს სკოლა-ნიკეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და იანინა გიგიბერიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სკოლას ხარვეზები არ გააჩნდა.

სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიური აღზრდის, მათემატიკის და ისტ-ის, უცხოური ენებისა და დაწყებითი კლასების კათედრები.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა კათედრების მუშაობის დებულება, სადაც გაწერილი იყო კათედრის ფუნქციები. კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილი იყო საგნის თემატური გეგმები და კათედრების სხდომების ოქმები.

კათედრების პორტფოლიოებში წარმოდეგნილი იყო ასევე, ჩასატარებელი შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური რაოდენობა. უკვე ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოსათვის წარმოდგენილი იყო ნიმუში, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლდა სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება და შეფასების რუბრიკა.

სკოლაში დამრიგებლები მუშაობდნენ დებულების შესაბამისად. თითოეულ დამრიგებელს ჰქონდა პორტფოლიო, რომელშიც ინახებოდა სადამრიგებლო პროგრამა. აღწერილი იყო სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული იყო მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო საათის დროს განსახილველი თემები.

ექსპერტის თქმით არჩევითი საგნებად სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს X-XI კლასებში - ხელოვნების ისტორიას, XII კლასში - მსოფლიო კულტურას. გამომდინარე იქედან, რომ ხელოვნების ისტორია იყო 2 სემესტრიანი კურსი, გათვლილი ორი წლის მანძილზე - ოთხ სემესტრზე, ხოლო მსოფლიო კულტურა, ორ სემესტრიანი კურსი, განსაზღვრული XII კლასისათვის - გათვლილი 1 სემესტრზე, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია არჩევითი საგნების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეცვალა არჩევითი საგნები: X კლასში - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიულ-პრაქტიკული კურსი; XI კლასში - ხელოვნების ისტორია; XII კლასში - კინოხელოვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით შპს "სკოლა-ნიკე" მდებარეობდა ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N102ა. სკოლის 4 სართულიანი შენობა, საერთო ფართით 1980.27 კვ.მ., განთავსებული იყო 1200.00 კვ.მ-ის მიწის ფართზე. რეესტრის ამონაწერით ასევე დასტურდებოდა, რომ სკოლა ფლობდა 956.00 კვ.მ. ფართს, რომელზეც „სკოლა-ნიკეს" მოწყობილი ჰქონდა სპოტული მოედანი და სკვერი. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობაში განთვსებული იყო 30 საკლასო ოთახი, 2 ხელოვნების კაბინეტი , 1 ლაბორატორია, 1 ბიბლიოთეკა, 1 სასადილო, 1 სპორტული დარბაზი, 1 სააქტო დარბაზი, 2 თავისუფალი ოთახი განაყოფებისთვის, 1 ექთნის ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 დირექტორის კაბინეტი და 1 კანცელარია.

ყველა საკლასო ოთახს ახლდა პატარა სასაწყობე ოთახი, რომლებშიც ინახებოდა 1-2 მაგიდა და გაკვეთილისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსი. საერთო ჯამში საკლასო ოთახებში სულ 479 ერთადგილიანი, 17 ორადგილიანი მაგიდა და 500 სკამი იყო. შესყიდვის დოკუმენტაციის თანახმად სკოლა საერთო ჯამში ფლობდა 500 სასკოლო მაგიდას და სკამს.

სკოლის სხვადასხვა კაბინეტში განთავსებული იყო ასევე სხვადასხვა ზომის და ფორმის მაგიდა და სკამი, მათ შორის 100 სკამით იყო აღჭურვილი სააქტო დარბაზი.

სკოლას ჰქონდა 91 კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი და 2 ღია სპორტული მოედანი. ერთი ღია მოედნის ფართი შეადგენდა 572 კვ.მ-ს, ხოლო მეორე მოედნის ფართი შეადგენდა 223 კვ.მ-ს. მოედნები შემოღობილი იყო მაღალი გალავნით. ორივე მოედანზე დამონტაჟებული იყო კალათბურთის ფარები. დიდ მოედანზე განფენილი იყო ხელოვნური საფარი. სკოლის ეზოში გაშენებული იყო ლამაზი, გამწვანებული სკვერი, რომლის გადახურულ ნაწილში განთავსებული იყო მაგიდები და მერხები. სკოლის დირექციის განმარტებით, სკვერის გამწვანებაში და მოვლაში მოსწავლეები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. სკვერი გამოიყენებოდა, როგორც დასასვენებლად, ასევე საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების ჩასატარებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განმარტებით სკოლის სტრუქტურის და საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავდა დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, მენეჯერი სამეურნეო დარგში, საქმისმწარმოებელი,, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ინფორმაციული მენეჯერი, ფსიქოლოგი, IT მენეჯერი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი, მეთვალყურე.

მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის თანახმად სკოლა-ნიკეში 2018 წლის 11 ოქტომბრის მონაცემებით ირიცხებოდა 442 მოსწავლე და 59 პედაგოგი. მათგან 11-ს მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის, 43-ს კი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. 5 მასწავლებელს ამ ეტაპზე სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული.

სკოლას ჰყავდა 4 გამონთავისუფლებული კლასის დამრიგებელი, ხოლო სხვა პედაგოგები ითავსებდნენ დამრიგებლის ფუნქციასაც.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რამდენი პარალელური კლასი იყო სკოლაში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლას ჰქონდა სამი პარალელური კლასი.

ექსპერტის თქმით, სკოლის პედაგოგები ჩართულნი იყვნენ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დირექტორის ბრძანებით N01-02/24 შექმნილი იყო სქემაში ჩართულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი, რომელშიც თავმოყრილნი იყვნენ პედაგოგები ყველა კათედრიდან.

სკოლაში შექმნილი იყო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დუკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იყო ზოგადი დებულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის

გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და პროფესიული განვითარება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა-ნიკეს (ს/კ: 245563000) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა 17:10 საათზე შემოურთდა საბჭოს სხდომას.

3. შპს მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით მათ გახსნეს სკოლა შპს ახალი თაობა, რომელმაც ზაფხულში გაიარა ავტორიზაცია სამივე საფეხურზე. შპს მწიგნობარში სწავლა ხორციელდებოდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, ხოლო ზემოაღნიშნული სკოლის გახსნის შემდეგ შპს მწიგნობარის მოსწავლეები გადავიდნენ შპს ახალ თაობაში, რის გამოც სკოლის წარმომადგენლებს სურდათ შპს მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 11 მუხლის მე - 2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე - 15 მუხლის მე - 3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს მწიგნობარს (ს/კ 208209080) გაუუქმდეს ავტორიზაცია

4. შპს სკოლა ქართულში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის № 924 ბრძანების თანახმად ექსპერთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა მატერიალური რესურსის გადამოწმება. მონიტორინგის საფუძველი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 მაისის სხდომის გადაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებაზე წარმოება შეწყდა იმ პირობით, რომ სკოლა საბჭოს მიერ განსაზღვრულ დროში გამოასწორებდა დაფიქსირებულ ხარვეზებს, ხოლო ცენტრს საბჭომ მიმართა რეკომენდაციით, გონივრულ ვადაში გადაემოწმებინა სკოლის მიერ პირობის შესრულება.

ექსპერტის თქმით, სკოლამ შეიცვალა სახელწოდება და შპს არილი გახდა შპს სკოლა ქართული. შესაბამისად, განხილვის დროს წინა დასკვნებისა და ოქმებიდან მოყვანილ მაგალითებში სკოლა მოხსენიებული იქნებოდა, როგორც შპს არილი. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩა 36-38-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ორ სართულზე. სკოლას დაკავებული ჰქონდა შენობის ნულოვანი და მეორე სართული.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილს მიმართა, საბჭოსთვის წარმოედგინა სრული სურათი, გამოასწორა თუ არა სკოლამ წინა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები.

ექსპერტის თქმით, სკოლამ ხარვეზების ნაწილის გამოსწორება სცადა, თუმცა უმეტესი მათგანი კვლავ იგივე მდგომარეობაში დახვდათ ექსპერტებს.

სკოლას კვლავ არ გააჩნდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია. დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომელიც ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის 208 დასახელების ხელსაწყოს შეადგენდა. აღჭურვილობა განთავსებული იყო სკოლის ქვედა სართულზე მდებარე მცირე ზომის ოთახში, რომელიც უფრო სათავსო იყო და არა ლაბორატორია. ამ ოთახს არ ჰქონდა ფანჯარა, ჰქონდა გამწოვი, ფართის სიმცირის გამო მასში ცდა/ექსპერიმენტები არ ტარდებოდა.
ამდენად, სკოლას ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობა, მაგრამ არა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი ცდებსა და ექსპერიმენტებს ატარებდნენ საკლასო ოთახებში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ საკლასო ოთახებში ქიმიური ცდების ჩატარება საფრთხის შემცველი იყო მოსწავლეებისთვის და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი იცავდნენ უსაფრთხოების წესებს.

ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ცალკე არსებობა იმიტომ იყო საჭირო, რომ საკლასო ოთახებისგან განსხვავებით მას სჭირდებოდა სველი წერტილი, გამწოვი და ცდების სრულფასოვნად ჩასატარებლად საჭირო სხვა პირობები.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, ქიმიის მასწავლებელი მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას მიჰყავდა მოსწავლეები და უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში უტარდებოდათ მოსწავლეებს სხვადასხვა ექსპერიმენტები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა ზემოაღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტთან გაფორმებული რაიმე სახის კანონიერი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლის წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა.

ექსპერტის თქმით, წინა დასკვნებში დაფიქსირებული ხარვეზი კვლავ არ იყო გამოსწორებული და სამასწავლებლო, ისტ - ის კაბინეტი და ბიბლიოთეკა ერთ კაბინეტში იყო განთავსებული. ამავე ოთახში იყო ვიდეოკამერების კონტროლისთვის განკუთვნილი კომპიუტერიც. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლის თქმით ფართის მოგების მიზნით მიიღო სკოლამ აღნიშნული გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ ბიბლიოთეკის, ისტ - ისა და სამასწავლებლოს ერთ კაბინეტში არსებობა გავლენას იქონიებდა სასწავლო პროცესის ხარისხზე.

ექსპერტი ასევე შეეხო წინა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზს სასკოლო სასწავლო გეგმაში სპორტის სახეობების შერჩევასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას სპორტის სახეებად პირველ საფეხურზე შერჩეული ჰქონდა ტანვარჯიში, მეორე საფეხურზე - ჭადრაკი, მესამე საფეხურზე - მაგიდის ჩოგბურთი. სკოლა საბაზო-საშუალო საფეხურზე უნდა სთავაზობდეს სპორტის არანაკლებ 3 სახეობას. ამასთან, მწირი იყო სკოლის რესურსები თუნდაც არასწორად შერჩეულ სპორტის სახეობებში სრულფასოვანი მეცადინეობების ჩასატარებლად.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების ნულოვანი სართულიდან მე-2 სართულზე ასვლისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი: მოსწავლეებს უწევდათ გადაადგილება კიბეების უჯრედზე კორპუსის სხვა მაცხოვრებლებთან ერთად. შენობის მე-2 სართულსა და ნულოვან სართულს შორის იყო სივრცე, რომელიც გამოუყენებელი იყო და ამავე დროს საფრთხის შემცველი. კიბის ამ ნაწილზე ასვლისას არ იყო დაცული მოსწავლეების უსაფრთხოება.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ამ სართულზე მოსწავლეებს აცილებდნენ დილით მშობლები ან მასწავლებლები და ისინი გაკვეთილების დასრულებამდე არ გამოდიოდნენ სკოლის საკუთრებაში მყოფი ფართიდან, თუმცა შემთხვევითი წესით შერჩეულ მშობლებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ ქუჩის გადმოსასვლელზე აცილებდა მის შვილს და შემდეგ ის დამოუკიდებლად ადიოდა სადარბაზოს კიბით კლასში. ასევე, ექსპერტს სკოლაში ვიზიტის დროს შეხვდა მე - 12 კლასის მოსწავლე, რომელიც მარტო გადაადგილდებოდა კორპუსის კიბის იმ უჯრედში, რომელიც სკოლისთვისაც და კორპუსის მაცხოვრებლებისთვისაც იყო საერთო.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს სთხოვა განმარტება. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ ხსენებულ საფრთხის შემცველ ადგილას მოსახვედრი კარი ჩაიკეტა, რისი დამადასტურებელი ფოტო მასალაც თან ჰქონდათ წარმოდგენილი, ხოლო ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ შეისყიდა და დაამონტაჟა 2 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელიც აკონტროლებდა კიბის იმ ნაწილს, სადაც მოსწავლეები

გადადადგილდებოდნენ მაცხოვრებლებთან ერთად და გაფორმდა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოსწავლეების დაცვა კიბის ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობისას.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ კამერების დამონტაჟება ვერ გადაჭრიდა არსებულ პრობლემას, რადგან საფრთხის შემცველი ფაქტის დადგომის შემთხვევაში მოსწავლე მაინც დაზარალდებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას იგივე მდგომარეობა ჰქონდა ავტორიზაციის დროს, 2015 წელს, რის გამოც, საბჭოს რეკომენდაციით, საჭირო გახდა მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის გადამოწმება. მონიტორინგის დროს მდგომარეობა ამ მხრივ იგივე იყო. დაწესებულებას არ ჰქონდა იზოლირებული შესასვლელი და მოსწავლეები არ იყვნენ უზრუნველყოფილი საკლასო ოთახებამდე უსაფრთხო გადადადგილებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ გაითვალისწინა დაწესებულებამ წინა სამი გარე შეფასების შედეგად გაკეთებული საბჭოს რეკომენდაციები. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათი მცდელობის მიუხედავად სკოლაში არ ხერხდებოდა იზოლირებული შესასვლელის გაკეთება და სკოლა მაქსიმალურად ზრუნავდა ბავშვების უსაფრთხოებაზე შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეების გადაადგილება გარეშე პირებთან ერთად ვერ ჩაითვლებოდა უსაფრთხოდ, კამერებისა და ზედამხედველის არსებობის მიუხედავად და სკოლისთვის აუცილებელი იყო იზოლირებული შესასვლელი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2015 წლიდან მოყოლებული, სკოლას არაერთხელ გაუკეთდა რეკომენდაცია და მიეცა გაფრთხილება საფრთხის შემცველ გარემოსთან დაკავშირებით. სკოლა მუდმივად იძლეოდა დაპირებებს, რომ გამოასწორებდა მდგომარეობას. წინა საბჭოს სხდომაზეც, მაისში სკოლამ დაბეჯითებით დაარწმუნა საბჭო, რომ შენობის კონსტრუქცია იძლეოდა იზოლირებული შესასვლელების გაკეთების შესაძლებლობას ორივე ფართზე და სწორედ ამიტომ მიეცა დაწესებულებას კიდევ ერთი შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მან მიმართა შესაბამის სპეციალისტებს და გაარკვია, რომ იზოლირებული შესაავლელის მოწყობა მეორე სართულზე არ ხერხდებოდა. ის დაპირდა საბჭოს რომ მოძებნიდა ახალ ფართს, რომელზეც სკოლა გადავიდოდა და იქ გააგრძელებდა ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, 3 წლის განმავლობაში სკოლას უნდა ეზრუნა პრობლემის მოგვარებაზე და მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. მითუმეტეს, რომ დაწესებულება ამის პირობას იძლეოდა ყველა წინა ზეპირი მოსმენის დროს. 2015 წლის 5 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე შპს არილს ავტორიზაცია მიენიჭა სწორედ იმ პირობით, რომ უახლოეს ხანებში ხარვეზები გამოსწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:40 საათზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა გაგრძელდა 19:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, რომ საბჭომ განიხილა 23.05.2018 წლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 7 ოქმის ის ნაწილი სადაც საუბარი იყო მაშინდელ შპს არილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ იქ იყო ჩანაწერი, სადაც საბჭო მკაცრ გაფრთხილებას აძლევდა სკოლას და მოიყვანა ციტატა ოქმიდან: „საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დააყენეს შუამდგომლობა, რომ საკითხის ბოლომდე განხილვის შემდეგ, სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაწესებულებას მისცემდნენ ვადას ცალკე შესასვლელების გასაკეთებლად მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე, ხოლო ცენტრი განახორციელებდა მონიტორინგს და ხარვეზის კვლავ არსებობის შემთხვევაში სკოლას გაუუქმდებოდა ავტორიზაცია."

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები,

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ქართულის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ქართულს (ს/კ 445387778) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან ერთად შეაჯამა შპს სკოლა ქართულის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების სიმძიმე და სიმრავლე, რამაც განაპირობა საბჭოს გადაწყვეტილება. მან ისაუბრა მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით, შეეხო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გაუმართაობას და მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად არაერთი დაპირებისა, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეების იზოლირებას გარეშე პირებისგან ცალკე შესასვლელის არარსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სემესტრის დამთავრებამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭო შეთანხმდა საბჭოს გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ძალაში შესულიყო 2019 წლის პირველი იანვრიდან და სკოლის წარმომადგენლებს დაავალა მაქსიმალურად უზრუნველეყოთ მოსწავლეების უსაფრთხოება აღნიშნულ პერიოდში. სკოლიის დირექტორს დაევალა მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე.

19:20 საათზე საბჭოს წევრმა დავით მალაზონიამ დატოვა სხდომა.

5. შპს ნოუ-ჰაუ-ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ ირინა დვალის განცხადებით შპს ნოუ-ჰაუ-ახალმა სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. გეგმა დამტკიცებული იყო ამავე სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც აღნიშნული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის თავფურცელზე. თუმცა, შინაგანაწესის საქმისწარმოების პუნქტსა და საქმისწარმოების ინსტრუქციაში არ იყო განსაზღვრული, თუ ვინ ამტკიცებდა სასკოლო სასწავლო გეგმას.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ კერძო სკოლების შემთხვევაში შესაძლებელი იყო სასკოლო სასწავლო გეგმა შეემუშავებინა პედაგოგიურ საბჭოს დირექტორთან ერთად, განეხილა ასევე დირექტორთან ერთად და მას შემდეგ ბრძანებით დაემტკიცებინა დირექტორს.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჩათვალეს, რომ სკოლის დირექტორის მიერ თავფურცელზე დარტყმული ბეჭედი საკმარისი იყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ შენიშვნას და ხარვეზს გამოასწორებდნენ.

ექსპერტის თქმით კათედრის სხდომის ოქმები ვერ ნახეს. შეფასების სისტემა თითოეული საგნის წარმოდგენილი იყო, კრიტერიუმები რუბრიკებად იყო ჩაშლილი, მაგრამ კონკრეტულად ვისი შემუშავებული იყო და როგორ იყვნენ საგნობრივი მასწავლებლები ამ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში ჩართულნი არ ჩანდა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლის შინაგანაწესში უნდა იყოს გაწერილი იმის შესახებ, თუ ვინ შეიმუშავებს და ამტკიცებს ამ რუბრიკებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტ ირინა დვალის განმცხადებით, შპს ნოუ-ჰაუ-ახალი სკოლა მდებარეობდა შემდეგ მისამართზე: ქ.რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3. სკოლა განთავსებული იყო ორსართულიანი შენობის ორივე სართულზე. სკოლას გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება 2017 წლის 8 დეკემბერს შენობის მესაკუთრე შპს „ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან“ 7 წლის ვადით. იჯარის ხელშეკრულებით სკოლას გადაცემული ჰქონდა დაწესებულების 3523. 00 კვ.მ. მიწა და მასზე დამაგრებული #1 შენობა, ფართით 897.3 კვ.მ. აღსანიშნავი იყო, რომ სკოლისთვის იჯარით გადაცემული ეზო გამოყოფილი არ იყო უნივერსიტეტის დანარჩენი ეზოსგან. ამავე დროს, ტერიტორიაზე, სკოლის ეზოში, იყო დანგრეული შენობა. ვიზიტის პერიოდში, მიმდინარეობდა გამიჯვნის სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, რა მდგომარეობა იყო ამ მომენტისთვის. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დეკემბრის ბოლომდე ეზოს გამიჯვნის სამუშაობები დასრულდებოდა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ ექსპერტებს ჰკითხა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესახებ, ექსპერტმა უპასუხა, რომ სკოლის პირველ სართულზე ორსივრციან ოთახში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ერთ სივრცეში სველი წერტილი და კარადებში მოთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა იყო, მეორეში კი მერხები და სკამები.

ექსპერტის თქმით ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებგვერდი მზადების პროცესში იყო. სკოლის წარმოადგენლის განცხადებით ვებგვერდი ამ მომენტისთვის უკვე ჩართული იყო ქსელში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტ ირინა დვალის განცხადებით რამდენიმე პედაგოგს არ ჰქონდა მასწავლებლის სტატუსი, თუმცა ჰქონდათ მასწავლებლის კვალიფიკაცია. ესენი იყვნენ ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიის მასწავლებელები.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ისინი მოწვეულ იქნებოდნენ მასწავლებლობის მაძიებლისა და მოწვეული მასწავლებლის სტატუსებით, რაც განისაზღვრებოდა ხელშეკრულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რამდენი იქნებოდა კლასში მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა. სკოლის წარმომადგენლის თქმით

კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა შეადგენდა ხუთს, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა თვრამეტს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 144 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ნოუ-ჰაუ-ახალი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნოუ-ჰაუ-ახალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 144-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ნოუ-ჰაუ-ახალ სკოლას (ს/კ: 416336646) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 144-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარე

მანანა რატიანი

საბჭოს მდივანი

თამილა ჩუბინიძე